ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№1, 29 იანვარი, ორშაბათი, 2024 წელი

ერთი ლექსი

შევხვდეთ საწყისებთან...

თუ ყურს მიაპყრობ სამყაროს რიტმებს,
დიდებულებას რად ეძებ სხვაში?
გამორჩეული თუ ჩანხარ რითმე,
ვით იალქანი შორს, გაშლილ ზღვაში...
მაშინ მოძებნე შენი მიზანი,
გაუღე ფიქრებს სულის წიაღი,
აღარ იქნები დროში ხიზანი
და საკუთარი ბაღის ნიავი.
თუ შემეცნებას მიუძღვნი საწყისს,
ამაოებას თუ განიხილავ,
შენ მოიპოვებ გონების საწმისს
და ოქროს კვეთის განედს იხილავ.
თვით უსასრულო სამყაროს ბალანსს
არითმეტიკულ სიზუსტით არხევს,
და ზოდიაქოს უცხო ალიანსს
განგება ხან ჩრდილს, ხან ნათელს აფრქვევს.
ისე, უბრალოდ, არაფერია,
შემთხვევით ცაში წამიც არ წყდება,
ეს დედამიწა ნაირფერია
და დაბადებაც მიწაზე ხდება...
შენ რატომ გაჩნდი ადამიანად?
არ გიფიქრია, ვინ ქმნის ქმნილებებს?
რომელს ეკუთვნი სრულად, მთლიანად,
ან სად აქვს ზღვარი განზომილებებს?..
არ გიფიქრია, სისტემებს შორის
სულდგმულობს, ფეთქავს სხვა სულიერი?
იქნებ პლანეტა სუნთქავს მათ შორის,
არ არის ყოფა მათთვის სულერთი...
რა სურთ მიწაზე ადამიანებს?
რისთვის იბრძვიან, სძულთ, უყვართ, გმობენ?
სამყაროს კვლევა ერთურთს მიანდეს,
მე ვარო კარგი! – ასე ამბობენ.
ჰომოსაპიენს! ალფავ და გამავ!
რა ჰიპოთეზებს შებმიხარ, როკავ?
მე მეხუთემდე გვირაბი გამყავს,
განზომილებებს მზე მწყობრში მოჰყავს.
რომელს ეკუთვნის? – ხილულს, უხილავს?
თუ წარმოსახვებს დაუთმეს ველი?
გთხოვ, უპასუხო ჩემს კითხვას ულევს,
მეშვიდე ზეცად შენს მოსვლას ველი...
ამპარტავნება! – აი, რა არის
შენი ძიება და ამბიცია,
გამომიკვლიო კოსმოსის დარი, –
ამის უფლება არ მომიცია.

მოგესალმები! მე ვარ ინდიგო!
მოვედი, რადგან გიცნობდი მუდამ,
ნუ გეშინია, ჰელოუ, ამიგო!
ეგ სილუეტი დავხატო უნდა.
მე დამავალეს შენი კი არა,
თვით დედამიწის გულის გაცნობა,
ეს არ გეგონოს არც კარიერა,
სამეცნიერო როკვა-ანცობა.
ეს გახლავთ ,,გონი" იისფერ ველზე,
დასაბამიდან არ აქვს სასრული,
გთხოვ, შემახსენო შენი სჯის დონე
და შენი ბინის უცხო სართული.
მე გეხუმრები, როცა არ ვხუმრობ,
ჰომოსაპიენს, შენ სტუმრობ ბარებს?
დედამიწაზე ძვირფას დროს აქრობ,
ნუთუ სამყარო შენ ჩაგაბარეს?..
ერთხელ გირჩიე, მიგეპყრო ყური –
სამყაროს არხევს დიდებულება,
მისი ბალანსი, ტალღა და ყურე
ხომ არ გგონია ზღაპრად თქმულება?
მე შემიძლია, დაგითმო წამი,
შენ საუკუნოდ თუ მოგეჩვენოს,
სამყაროს კომპასს არ აქვს წამწამი,
დაფახულება თვალის არ შვენის.
მე გაგაფრთხილე, დაგეგდო ყური,
სამყაროს ცნობა შენი ნებაა,
იქ, სადაც ცხოვრობ, არის ზღვის ყურე,
სხვაა სივრცე, დრო, განზომილება.
მე გაგიცანი! შენ იცან თავი?
ახალო ჰომო, ძველო საპიენს!
დედამიწაზე ხარ მოსართავი,
ნუ ცდილობ, ლაქად აჩნდე ნაპირებს...
დაგელოდები ვერც ერთი წუთი,
ჰომოსაპიენს, "ველქამ!" მშვიდობით!
ოზონის როცა გასცდე ნაპირებს,
არ დაგავიწყდეს, მომეპყრო ნდობით,
მე გაჩერებას აქ არ ვაპირებ!
მოგესალმე და, უკვე მშვიდობით!

ნატო კიკაძე
(ალმა ყიფიანელი)

ავტობიოგრაფიული ესსე

ბედისწერასთან მორკინალი

მე ნატო კიკაძე ვარ, ფსევდონიმით – „ალმა ყიფიანელი“.

ბავშვობიდან ვწერ ლექსებს, ჩანახატებს. დამიგროვდა ნოველები, ესეები, პოემები, ზღაპრები, რომანები, გამოცანები, ფრაზები.

ჩემი ოცნება წიგნის გამოცემის შესახებ ვერასოდეს ავისრულე, რადგან ჩემი ცხოვრება მუდამ ექსტრემალური სახეცვლილებით ვითარდებოდა და მუდამ მოულოდნელობებით იყო აღსავსე. დრომ თითქოს იმ უბედნიერესი წლების საზღაური გადამახდევინა, რასაც უდარდელი ბავშვობა და ახალგაზრდობა ჰქვია – ჩემი ცხოვრების მშვენიერი ხანა...

საკმაოდ მრავალმხრივი განათლება მივიღე, დავამთავრე რამდენიმე სასწავლებელი და ეს ცოდნა ცხოვრების უამრავ ეტაპზე გამომადგა, მიხსნა სიძნელეების დროს.

არცთუ მცირეწლოვანი დავოჯახდი, შემეძინა ორი ულამაზესი გოგონა. მეუღლის სამსახურის გამო, ხაშურიდან საცხოვრებლად გურიაში გადავედით, სადაც, მეუღლისა და ჩემი შრომით, სულ მალე ნატანებში ბინა და ავტომობილი შევიძინეთ. ჩვენი მშობლიური მხარის მონატრებისა და მასთან უწყვეტი კავშირის სურვილით, დიდი და ლამაზი სახლის მფლობელებიც გავხდით ხაშურთან ახლოს, სოფელ ცხრამუხაში. მესამე ქალიშვილიც გვეყოლა. ვცხოვრობდით ბედნიერად, მიზნებითა და ოცნებებით...

სრულიად მოულოდნელად ახალგაზრდა მამამთილი გარდაიცვალა, რასაც მაზლის დაუდევარი გადაწყვეტილება – რუსეთსა და უკრაინაში გამგზავრება მოჰყვა. მალევე მეუღლის ძმის „დიდი გასეირნება“ უკრაინაში ციხეში მოხვედრით დასრულდა, სადაც მას შერყეული ჯანმრთელობა დაუმძიმდა.

იდგა რთული „ოთხმოცდაათიანები“, სრული უმოძრაობა, უმუშევრობა, უშუქობა. ცოტაოდენი დანაზოგითა და აღებული სესხით ჩემი მეუღლე ძმის დასახმარებლად უკრაინაში გაემგზავრა და მის საქმიანობას მოჰკიდა ხელი.

დავრჩი მარტოდ, სამი შვილით, პატარა სულ რაღაც ექვსი თვის იყო. წელიწადზე მეტ ხანს ვუმკლავდებოდი ცხოვრებისეულ და ოჯახურ პრობლემებს. მალე შვილებითურთ მეც უკრაინაში ჩავედი. ქ. გორლოვკაში საპატიმროს უფროსი მაიორი ქალბატონი დამიმეგობრდა, რომლის გულისხმიერების წყალობით მაზლი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

ქ. ლუგანსკში მეგობრები შევიძინეთ საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან, რომლებმაც ბევრი სირთულე გადაგვატანინეს უცხო მხარეში, თუმცა, არც მათ ულხინდათ, რადგან ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისში იყო და ე.წ. „რეკეტი“ ჰყვაოდა, პოლიცია უძლური იყო თაღლითურ კლანთან.

გარკვეული პერიოდი ქალაქის პროკურატურაში ვმუშაობდი, თარჯიმნის პოზიციაზე.

ვწერდი... ისევ ვწერდი...

უკრაინიდან მაზლი მშვიდობით გამოვისტუმრეთ საქართველოში, თან უფროსი ქალიშვილები გამოვაყოლეთ. მე პატარა გოგონასთან ერთად ქმართან დავრჩი.

უცხო ქვეყანაში უფროსი შვილების გარეშე გატარებული ცხრა თვე ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ტანჯვა, დარდი და უძილო ღამეები იყო.

უკრაინაში არსებული ე. წ. ,,რეკეტიორობის“ გამო, მეუღლეს პრობლემები შეექმნა... ძნელი იყო იმ გადაწყვეტილების მიღება, რომ სამშობლოში დავბრუნებულიყავი...

საქართველოში დუხჭირ ცხოვრებას გავუსწორე თვალი.

ვწერდი... ისევ ვწერდი... ვშრომობდი...

ერთი წლის შემდეგ უკრაინიდან მეუღლე ყოველგვარი საბუთების გარეშე, საკუთარი შეცდომებისა და „რეკეტისგან“ მოვიტაცე, ერთ უცნობ ქართველთან ერთად, რომელიც, ასევე, პრობლემებში იყო გახვეული და არ გააჩნდა სამშობლოში დასაბრუნებელი თანხა.

გზა სამშობლოსკენ, გამიზნულად გადანაცვლებული მარშრუტით, სახიფათო და რთული იყო...

არ გვილხინდა, ცხოვრება გაძნელდა, ოჯახი ძველებურად ვეღარ ბარაქობდა. გოგონები დაიზარდნენ და „ქორებმა“ მომტაცეს. დავრჩით უმცროს გოგონასთან ერთად.

ერთ დღეს ჩემი მეუღლე ავტომობილის შედუღების დროს ბენზინით მძიმედ დაიწვა მამისეულ ავტოფარეხში. დაიწყო ჩემი, ჩვენი გოლგოთა... მწარე რეალობის წინაშე აღმოვჩნდი...

– არ შემოგაქვთ ფული, ქალბატონო, ამიტომ, თქვენი ქმრის მკურნალობა ორი კვირაა, შეწყვეტილია! – განმიცხადა ერთ-ერთმა ცნობილმა პროფესორმა და მე ისევ მოვკვდი... ღვთის ანაბარად დავრჩი იმ სამყაროს წინაშე, სადაც ფული ბატონობს ... ეს იყო შიშიც, გაოცებაც, გულის გატეხვა და რწმენის შერყევა.

სოლიდური თანხა ვალად დაგვადეს და 43 დღის განმავლობაში ნაწამები მეუღლე სახლში გამომატანეს... საავადმყოფოს ვალის გამო ახალგაზრდობაში შეძენილ ჭერს ვკარგავდი...

ისევ ღვთის ანაბარად დავრჩით მე და ჩემი მცირეწლოვანი გოგონა...

ვწერდი, ისევ ვწერდი...

ვის არ ვევედრებოდი, გადაერჩინა ერთი ჩვეულებრივი ქართული ოჯახი დაღუპვას. არავინ დაგვეხმარა...

ოთხთვიანი ტანჯვის შემდეგ მეუღლე გარდაიცვალა.

ახალი გოლგოთის გზა დაიწყო ...

ვშრომობდი... ვმუშაობდი ყველგან, სადაც კი ხელი მიმიწვდებოდა.

ცხოვრება გრძელდებოდა. უმცროსმა გოგონამ უმაღლესი განათლების მიღება შეწყვიტა, ფინანსური მდგომარეობის გამო, მოგვიანებით თვითონ, თავისი შრომით დააფინანსა პროფესიული სასწავლებელი და სიყვარულიც ეწვია.

საქორწინო კაბა ჩემი ხელით შევუკერე შვილს...

მარტოდ-მარტო დავრჩი. ვწერდი... ისევ ვწერდი.

ჯანმრთელობა შერყეულს სამყაროს განზომილებებთან შეხება და ხილვები მქონდა... არასდროს დამიკარგავს საღი აზრი, ადამიანური ღირებულებები და ქალური კდემამოსილება... არასდროს გავბოროტებულვარ...

ცხოვრება ხომ მოულოდნელობებით არის აღსავსე და... ახალი ერა დაიწყო ჩემს ცხოვრებაში, განგებამ მეორე შანსი მარგუნა... პიროვნებამ, რომელმაც ჩემი სახლი შეიძინა, თანხის გარკვეული ნაწილი მაჩუქა და ასე შევიძინე პატარა სახლი.

ვწერდი... ისევ ვწერდი...

იბადებოდნენ შვილიშვილები, ახალი სიცოცხლეები...

მოულოდნელად შუათანა ქალიშვილი დაქვრივდა!.. სამი ობოლი შვილიშვილი ჩემთან წამოვიყვანე. შვილი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ... გაუმართლა, ევროპაში საბუთები მოუწესრიგეს, სპეციალური პაკეტები შეუქმნეს, ჩააბარეს იუსტიციის საბუთი, მუშაობის, ცხოვრების უფლება, აგრეთვე, ოჯახის „გამთლიანების“ უფლებაც მოიპოვა და...

ჩემი გაზრდილი სამი ობოლი ჩემი შვილის თხოვნით, ხუთწლიანი განშორების შემდეგ, დედას ჩავუყვანე რომში. მე სამშობლოში დავბრუნდი.

არასოდეს მიფიქრია და მიოცნებია მარტო ცხოვრებაზე, მაგრამ ახლა მარტო ვარ... მარტოობა, ერთი მხრივ, საკუთარი თავის და შესაძლებლობის შეცნობა-გამოცდის წყაროც არის.

... მე მიყვარს სამყარო, სიცოცხლე, ცხოვრება, ადამიანები. მე არ მაბოროტებს ტკივილი და წყენა. მე მიყვარს ფერები, ურთიერთობები, მოსმენა, მიყვარს ადამიანების თანადგომა, თუნდაც, ერთი სიტყვით ნუგეშის მიცემა, გაღიმება, ხელის გაწოდება. რამ გადამარჩინა? – სიმართლისთვის, რეალობისთვის თვალის გასწორებამ, გულწრფელობამ და ერთგულების სიყვარულმა.

ჩემი სიმდიდრე ჩემი მონაგარია!..

ბედნიერება წვრილმანებშია. უბრალოებაში უდიდეს ფასეულობებს ვაგროვებ.

მე ვწერ... ისევ ვწერ ყველაფერზე: ადამიანებზე, გრძნობებზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

ჩემი ემოცია ეკუთვნის მოვლენებს, ხოლო მათი მართვა მეკუთვნის მე...



შეხვედრა პოეტთან

2023 წლის წლის 25 დეკემბერს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გორის უნივერსიტეტის პროფესორის, ჩვენი ქალაქის საამაყო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მურად მთვარელიძის 70 წლის საიუბილეო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები: გორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ხორბალაძე; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ქეთევან ბარბაქაძე; პროფესორები: მარიამ კობერიძე; მარინა ცერცვაძე; თამილა გოგოლაძე. მოწვეული სპეციალისტი თამარ სიდამონიძე, გორის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უფროსი სპეციალისტი, მანანა ასლანიშვილი, უნივერსიტეტის სტუდენტები, გორის ინტელიგენციის წარმომადგენლები და ხაშურიდან ჩასული მურად მთვარელიძის პოეზიის თაყვანისმცემლები, მეგობრები და კოლეგები ესწრებოდნენ.

ხაშურის სამუსიკო სკოლაში ნოემბერში გამართული საღამოს შემდეგ, ეს იყო რიგით მეორე ღონისძიება, რომელიც მურად მთვარელიძის მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

შეხვედრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალექსანდრე მღებრიშვილმა გახსნა, რომელმაც ისაუბრა იუბილარის შემოქმედებისა და მხატვრული მოღვაწეობის მთავარ ასპექტებზე და მის დამსახურებებზე გორის უნივერსიტეტის წინაშე. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებასა და წარმოჩინებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, რექტორმა მურად მთვარელიძე გიორგი ხარაულის სახელობის მედლით და საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

გორისა და კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა და ყოფილმა რექტორმა გიორგი სოსიაშვილმა საინტერესო მიმოხილვა მიუძღვნა იუბილარის მრავალმხრივ ლიტერატურულ მოღვაწეობას, მისი შემოქმედების ჟანრობრივ მრავალფეროვნებას და თავდაუზოგავ შრომას ხაშურისა და გორის როგორც აკადემიურ, ასევე, საზოგადოებრივ ფლანგზე.

საიუბილეო ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ხაშურის ბავშვთა თეატრალური დასის ,,აკვარიუმი“ და გორის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ მომზადებული ლიტერატურული კომპოზიციები, რომელიც მოიცავდა მურად მთვარელიძის პოეზიას.

ახალი წიგნი

გაცოცხლებული სახელები

ნებისმიერი ერის ისტორია უამრავ სახელს ინახავს. ისინი თანამედროვეობის ცას მომწყდარან და წარსულის კიდობანში მიმოფანტულან, თითქოს მბრწყინავი ნამსხვრევები იყვნენ. ძნელია მათი დავიწყება, რადგანაც ისინიც ჩვენი ნაწილნი არიან, ოღონდ უკვე სიცოცხლის ფარდის უკან მდგარნი. საკმარისია, მწერლის ხელი შეეხოს მათ დღეთა ქრონიკას, რომ ჩვენ თვალწინ გაცოცხლდებიან, თავიანთ განცდებსა და სურნელს გვაზიარებენ.

,,ყველა კარგი რომანი საერთაშორისო დღესასწაულია, დედამიწის რომელ კუთხეშიც უნდა დაიბადოს ის, ყველა ჩვენგანის საკუთრებაა.“ – უთქვამს ოთარ ჭილაძეს.

პროფესორ მურად მთვარელიძის რომანი – ,,გრაფინია ზარნიკაუ”, რომელშიც არაჩვეულებრივი მხატვრული ოსტატობითაა გაცოცხლებული მე-19 საუკუნის დასასრულის საქართველო, ჩემია, შენია, მკითხველისაა... ეს წიგნი სულ ახლახან დაიბეჭდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში. რომანის მთავარი სვეტი სიყვარული გამხდარა, რომელიც ყველა დაბრკოლებას ლახავს, სხვათა შეხედულებასა და აზრს უკან ჩამოიტოვებს და გამარჯვებასაც იზეიმებს.

რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე მესამის ვაჟი – გიორგი მზად არის, ყველაფერზე უარი თქვას და დაეთანხმოს მარგანანტულ ქორწინებას. ეკატერინე ნაკაშიძე მისთვის სიცოცხლის აზრი გამხდარა, ვერ წარმოუდგენია მის გარეშე არსებობა. თუმცა ისიც კარგად იცის, რომანოვებს მის გადაწყვეტილებაზე როგორი რეაქცია ექნებათ. ასეთივე ნაბიჯს დგამს გერმანიის დიდი ჰერცოგის შთამომავალი, რუსეთის საიმპერატორო კარის ნათესავი, კონსტანტინე ოლდენბურგი. იგი მზად არის, დათმოს პრინცის ტიტულის ტარების უფლება, ოღონდ ულამაზეს ქართველ ქალთან, აგრაფინა ჯაფარიძესთან იქორწინოს. ,,მე ის მიყვარს, ეს კი ყველაზე მაღლა დგას!“ – ეუბნება კონსტანტინე თავის ძმას, რომელიც ამ ქორწინების პირველი მოწინააღმდეგეა.

რომანში კიდევ ერთი სიყვარულის ისტორიაა გაცოცხლებული – ლევ ტოლსტოის ვაჟისა და ელენე გურიელის ურთირთობა. ავტორი საოცარი სიფაქიზით ძერწავს თითოეულ პერსონაჟს, ფაქტობრივად, ისტორიულ სახეებს. მკითხველს ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს თვითონ არის მონაწილე ამ სიუჟეტების, წაშლილა საუკუნის წელთა სიმრავლე. წიგნში გაცოცხლებულია მე-19 საუკუნის საქართველოს ცნობილი შვილები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, დავით სარაჯიშვილი, იონა მეუნარგია, გიორგი შერვაშიძე... განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ცნობილი მხატვრის, მიხაი ზიჩის სტუმრობას, მის ემოციებს ქართული ტრადიციებისა და ღირებულებების გაცნობისას. თბილისის სილამაზემ ძალიან მოხიბლა დიდი მხატვარი. იგი გრძნობდა, რომ ,,ეს ქალაქი თავის წიაღში თანაბრად ითვისებდა აზიისა და ევროპის კულტურას და ორივეს ისე ასაზრდოებდა, რომ ეს მხოლოდ განცვიფრებას იწვევდა.“ მიხაი ზიჩმა ისიც კარგად დაინახა, რომ შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი“ ქართველებისთვის ეროვნული ცნობიერებისა და სიამაყის ერთგვარ ნიშანსვეტად ქცეულიყო. ამიტომაც იგი დიდი ინტერესით მონაწილეობს პოემის ეპიზოდების დადგმაში არამარტო თბილისში, არამედ ქუთაისშიც.

მკითხველს აუცილებლად დააინტერესებს წინამდებარე რომანის სათაური – ,,გრაფინია ზარნიკაუ“. აგრაფინა ჯაფარიძე წიგნის მთავარი პერსონაჟია. მომხიბლავი ქართველი ქალი მეორედ თხოვდება პრინც ოლდენბურგზე, რომელიც წარმოშობით იყო გერმანიის ერთი უძველესი კუთხიდან – ზარნიკაუდან. ამ ქორწინების შემდეგ გერმანიის ჰერცოგმა გაამზადა შესაბამისი სიგელი აგრაფინასთვის – ,,გრაფინია ზარნიკაუ“. კონსტანტინე ოლდენბურგი კი ,,უთანასწორო ქოეწინებისთვის“ გრაფის ტიტულამდე დააქვეითეს. რომანში მკითხველის თვალწინ გაივლის მშვენიერი ქართველი ქალის ტრაგიკული ბედის ისტორია. ექვსი შვილის დედას მარტოობაში ელის სააქაოდან ამანძილება. იყო დიდი სიყვარული, ბედნიერება, ულამეზესი ოჯახი, მართლაც, დედოფალივით ცხოვრება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლოს მძიმე დღეები ენაცვლება ყველაფერს. კონსტანტინე ოლდენბურგმა თბილისში ულამაზესი სასახლე აუშენა მეუღლეს. იქ იკრიბებოდა ცნობილი ქართველი საზოგადოება. გერმანელმა პრინცმა მას ,,სიყვარულის სასახლე“ უწოდა. დღეს იქ თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმია. რომანის შესავალი სწორედ იმ მისტიკური მოვლენის აღწერით იწყება, რომელზედაც არცთუ იშვიათად საუბრობენ მუზეუმის თანამშრომლები.

იქნებ აგრაფინა ჯაფარიძის დაუვანებელი, მშფოთვარე სული ვერ ისვენებს. ვინ იცის...

მაია გელიაშვილი – წიგნის რედაქტორი

იუბილე

მამული უყვავილე, უფალო!

სამყაროს რომ პოეზიის მადლი არ აკეთილშობილებდეს, როგორი პროზაული იქნებოდა სიცოცხლე! პოეზია – აღსარება ღია ცის ქვეშ, ღვთისა და ადამიანების შესასმენი, გულწრფელი ემოციის ხმამაღლა გამოხატვა, გამხელილი სევდა და სიხარული...

რაოდენ გასახარია, რომ ამდენი აღმსარებელი ჰყავს ისეთ პატარა ერს, როგორიც საქართველოა; ტაძარს, საიდანაც, სამწუხაროდ, უამრავი მიზეზის გამო გადიან ადამიანები და უკეთესი სამოთხის ძიებაში იქანცებიან...

ბელურა ჩიტის ბედისა და თავისი ქვეყნის ხვედრის გამზიარებელი ადამიანები კი ალიონიდან ასდევნებიან ცხოვრების ჩარხის ბრუნვას და იმის მიხედვით უცემთ გული, თუ როგორ ხმას გამოსცემს სამშობლოს სამრეკლოზე აგუგუნებული ზარები; ბუნებასთან და ადამიანებთან თანაარსებობის პროცესში მიღებული ტკივილი და სიხარული ბწკარედებად იქარგება მათი სულის დაფაზე.

ასე იქმნებოდა და დღემდე მალამოდ ქცეულა თავმდაბლობით და მიმტევებლობის საოცარი უნარით გამორჩეული ქალბატონის, ჟუჟუნა ცენგიაშვილის ლექსები. ეს ის ადამიანია, რომელსაც სიყვარულის გუდა შეარქვეს მეგობრებმა. ქალი – თაფლის სანთელივით სუფთა და მართალი!

სწორედ ამ გუდიდან მოედინება სულის ნაჟური, რომელიც სინანულის ხმად უერთდება ზეცას:

„მე ვერ შევძელი შენი დაცვა, მამულო ჩემო, გთხოვ, მაპატიე!!!“

იგი თავს არ იწონებს, მის ბუნებრივ ემოციებშია მთელი ხიბლი... ჩუმია, უხმაუროდ მიედინება თავის კალაპოტში: ჯებირს არავის ურღვევს, არავის ერწყმის...

კითხულობ გრძნობის ძაფებით შეკრულ სტრიქონებს და კიდევ ერთხელ რწმუნდები მის გულწრფელობაში, მამულიშვილობაში, ღვთისა და ადამიანის წინაშე პირნათელობის უდიდესი განცდით და სურვილით გაჯერებულ სტროფთა ჰარმონიულ მონაცვლეობაში...

და აქაც უდიდესი მისია ვეცკისრება თითოეულ ჩვენგანს: ფიზიკური ტკივილის გამო საზოგადოებრივ საყრდენს განრიდებული ადამიანის სული უნდა ვიხსნათ განსაცდელისგან...

სული, რომელსაც მისი ცხოვრების 75-ე ჟამსაწიერზე მამულის კეთილდღეობის მოლოდინში შებინდებია:

„ტოტებზე ნატვრა ჩამოვაბნიე,
უფალო, მომეც ძალა ლოდინის!“

დიდხანს ნუ ალოდინებ, მამული უყვავილე, უფალო!

ხაშურის ინტელიგენციის სახელით,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი **კლარა გელაშვილი**

პოეზია

ჟუჟუნა ცენგიაშვილი - ქორიაიშვილი 75

მაჩუქეთ...

სევდა გძალავსო...
მაჩუქეთ ლხენა, –
ტკივილებს, დარდებს
გავატან ქარებს,
იქნებ, მეც შევძლო, თავისუფალმა,
ცეცხლის მფრქვეველებს,
ვუყელო რაშებს...
ვითარც ფასკუნჯი,
ფრთათა ტყლაშუნით
გავინავარდებ, დავსერავ ზეცას...
დე, გაიოცონ, დე, გაიკვირვონ
ეს სილაღე და ეს თავაშვება!
მაჩუქეთ ფრთები,
რომ ჯინები ბოთლში ჩავკეტო!!!

ჩიტები

ჩიტო-ჩიტუნებო, ნუთუ ქორწილი გაქვთ?
ჭიკჭიკებთ, ჭიკჭიკებთ, ჭიკჭიკებთ...
ნეფე-პატარძლობას რომელი იმშვენებთ,
მაყრიონს რად არ აქვს სიმშვიდე?
წითელი ფრთები და წითელი კუდები
სალხინოდ დავარცხნილს მიგიგავთ,
თქვე ბედნიერებო, საჩუქრად ფრთები და
უსაზღვრო ცა გერგოთ, მიფრინავთ!..

ისევ...

უფსკრულის პირზე
თვალახვეულს
ბევრჯერ მივლია,
მინდვრად გასული
შევტიროდი
ცვრიან ბალახებს,
სამშობლოს სევდას
ტანზე ვირგებ,
ვით ხელის პერანგს,
შვილების ბედიც
ისევ მადარდებს...
ის მავთულხლართი,
გოჯი-გოჯ რომ
მამულს იპარავს,
მიკაწრავს სხეულს,
ჩემს გულზე გადის...
ყველაზე დიდი, უმძიმესი,
ეს დამაქვს დარდი...

ნუ გამომიწვევთ

გულზე მალამოდ თუ არ გედებათ,
ყველა ლექსს წავშლი,
არ დავინანებ ფიქრით დაღლილ
ცისფერ ღამეებს,
თვალწალულულ ღველფს
თუ ნაცრიდან ალად ვერ ვაქცევ,
სამყაროს თუ ვერ გავაღვიძებ,
ვერ გადავძახებ, –
ნუ მოინდომებთ
გმირის შექმნას...
ევას მოდგმის ვარ! –
არც ისე სუსტი,
თავს ბუზისგან რომ
ვერ ვიცავდე...
არც ჭინჭილა ვარ –
დასაცლელი ასე ადვილად!..
არა, ბატონო!!!
ყანწის შემბედავს
მოგრეხვია ბევრჯერ კისერი
ჭინჭილას დაცლით...
ნუ გამომიწვევთ,
დუელი არ მსურს!..

ულალი მიმინო

შემოვიარე ზღვა და ხმელეთი,
ფეხით გავთელე უსაზღვრო ველი,
ამდევნებია, ვით წლების ქურდი,
ულალი მიმინო – დრო ულმობელი.
სად მის ნაპირზე დანანობენ
ფიქრები – ჩემი თეთრი გედები,
თუ ჩემეულად არ მიცხოვრია,
ხელაწეული, ბედო, გნებდები!
ამდევნებია ულალი მიმინო –
ჩემი დროის და წლების მდევარი!..

***

ცხოვრება რაშივით მიჭქროდა,
მივდევდი ბორძიკით, ჩანჩალით,
უფალმა სიცოცხლე მადროვა,
არ ვიყავ ჯაბანი, ლაჩარი...
რაც იყო, იცოდა ამ გულმა,
ხურჯინით დამქონდა ტკივილი,
ყუჩობდა, არასდროს კიოდა,
სულს არ დასცდენია ჩივილი...
სიყვარულს, გადარგულს ვარდებად,
ვკრეფდი და ვაბნევდი იებად,
სიკეთის მარცვალი თუ ვთესე,
სიკვდილიც კი, მეპატიება!

მამულო

ღმერთმა გიკურთხა, ქართველო,
სამშობლო, ასე ლამაზი,
სული – მთასავით ძლიერი,
გული – გაშლილი ზღვასავით.
ვიცი, საიდან მოდიხარ
და ისიც ვიცი, ვინა ხარ, –
ქვის ფურცლად შემონახული
ზეზვა, ლუხუმი, მზისა ხარ!
სამშობლო ვეფხვის და მოყმის,
ქარაფზე მფრენი ვაჟების,
თვალს გაუსწორებ მზის გვირგვინს,
შეხედავ ლომის თვალებით...
მოსულხარ ლექსით, სიმღერით,
გაშიშვლებული მახვილით,
„მრავალჟამიერ“, „ლილეოს“,
„ჩაკრულოს“ შემოძახილით.
შარავანდედად დაგადგეს
დაუძლეველობის გვირგვინი,
კვნესიხარ, – ცრემლს ვერ ვიშორებ,
ხარობ, მეც მაშინ ვიღიმი!

***

გულს ვამზეურებ ხანდახან,
მდის სიყვარულის ცრემლები,
ჩამოდინდება თვალთაგან
ცისარტყელების ფერებით...
ჩავექსოვ-ჩავიქარგები
სიმშვიდით, ყვავილთ სურნელში,
გულს ვერ ერევა დარდები,
იმედი მიზის უბეში!
კვლავ ველოდები გაზაფხულს,
ფრთიანდებიან მართვენი,
მამული – ჩემი სამოთხე,
ფრთები – ლაჟვარდში საფრენი...
სიტყვაო, ნუ შემომწყრები,
ლექსო, ნუ დამეკარგები,
ჩამოვარიგოთ კარდაკარ,
სიყვარულ – გულში ნადები...

ჩოხოსნებს

შავი ჩოხებით შეიმოსნენ
მწერლები, როცა
რუსულმა ჩექმამ
გადათელა ქართული სული...
როს თებერვლის თოვლს
ფუნჯი ეცხო ყაყაჩოს ფერით,
როს ძირს ეყარა ასაფრენად
გაშლილი ფრთები...
და ახლაც, როცა მტერი უკვე
„სიმშვიდით“ გვებრძვის,
განადგურება გვემუქრება
ჯიშის და გენის!..
შენი ვალია, ჩოხოსანო,
დაიცვა რწმენა,
რომ მომავალმა არ დაკარგოს
„მამული, ენა...“
ჩაცმა ჩოხისა ადვილია,
ტარება – ტვირთი,
მწამს, სიყვარული მამულისა
სიცოცხლედ გიღირს...
თუ წინაპართა ნაკვალევზე
დადიხარ ჩოხით,
ისე იარე, დადიოდა
როგორიცა ზოგი:
ერეკლე, ბაგრატ, გიორგი და
დავითი, იგი...
ჩოხის კი არა,
კაცის ჰქონდეთ,
მეტადრე, რიდი...

რედაქტორი ეკატერინე ბაქრაძე